



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის  
დირექტორის ბრძანება



№ 00010665



07/11/2022

**შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ**

"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს N416 დადგენილების შესაბამისად, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება არის ორი სახის: დუალური და კოოპერაციული სწავლება. იმის გათვალისწინებით, რომ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ყველა პროგრამა შეესაბამება კოოპერაციულს, საჭიროა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება კოოპერაციული სწავლების სახით.

"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს N416 დადგენილების და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდეს კოოპერაციული სწავლების სახით:

- ა) საექთნო განათლება;
- ბ) ფარმაცია (სააფთიაქო);
- გ) ვეტერინარია;
- დ) დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი).

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კერძო კოლეჯების ასოციაცია  
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი  
დირექტორი  
სუხიშვილი რუსუდან

